განათლების საერთაშორისო სტანდარტი 4

საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა (2015)

შინაარსი

პუნქტები

შესავალი

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო 1-6

ძალაში შესვლის თარიღი 7

მიზანი 8

მოთხოვნები

პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის საფუძვლები 9

შესაფერისი ეთიკური ნორმები 10

სწავლის შედეგები პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევისთვის 11

პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების მიმოხილვა 12

რეფლექსია 13

პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის შეფასება 14

ახსნა-განმარტებითი მასალა

ბსფ-ის ოფიციალურ დოკუმენტებში მოცემული ტერმინების განმარტებების ციტირება ა1–ა2

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო ა3–ა11

მიზანი ა12

პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის საფუძვლები ა13-ა15

შესაფერისი ეთიკური ნორმები ა16

სწავლის შედეგები პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევისთვის ა17-ა31

პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების მიმოხილვა ა32-ა33

რეფლექსია ა34-ა38

პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის შეფასება ა39-ა42

1-ლი დანართი: პროფესიული კვალიფიკაციის დონეების დახასიათება

შესავალი

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. პუნქტები ა3–ა11)

1. წინამდებარე განათლების საერთაშორისო სტანდარტი (გსს) ადგენს სწავლის შედეგებს პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევისთვის, რომლის დემონსტრირებაც მოეთხოვებათ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას.
2. სტანდარტი განკუთვნილია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) წვრი ორგანიზაციებისთვის. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ, უზრუნველყონ იმის გარანტია, რომ საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამა დააკმაყოფილებს ამ გსს-ის მოთხოვნებს. გარდა ამისა, ეს სტანდარტი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს სასწავლო დაწესებულებების, დამქირავებელი ორგანიზაციების, მარეგულირებელი ორგანოების, სახელმწიფო უწყებებისა და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარისთვის, რომელიც მატერიალურად უწყობს ხელს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების სწავლებასა და განვითარებას.
3. პროფესიონალი ბუღალტრის სწავლა და განვითარება გრძელდება მთელი მისი კარიერის მანძილზე. მაშასადამე, საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაუფლებული პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის წესების ცოდნა ანალოგიურად მნიშვნელოვანი და აუცილებელია უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამაშიც, ვინაიდან პროფესიონალი ბუღალტრების სამუშაო (თანამდებობები) იცვლება და, ამასთან, პროფესიონალ ბუღალტრებს პრაქტიკაში მრავალნაირი ეთიკური პრობლემები შეიძლება შეხვდეთ.
4. წინამდებარე გსს-ში ერთად არის წარმოდგენილი პროფესიონალი ბუღალტრების განათლებისთვის შესაფერისი ეთიკური მოთხოვნები. როგორც წესი, პროფესიის შესაფერისი ეთიკური მოთხოვნები/ნორმები ადგენს პროფესიული ეთიკის ხუთ ძირითად პრინციპს: პატიოსნება, ობიექტურობა, პროფესიული კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება; კონფიდენციალობა და პროფესიული ქცევა.
5. წინამდებარე სტანდარტი ადგენს კომპეტენტურობის სფეროებსა და სწავლის შედეგებს, რომელიც გვიჩვენებს პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის წესების იმ ერთობლიობას, რომლის დაუფლებაც მოეთხოვებათ პროფესიონალ ბუღალტრებს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას. გსს 2 – „*საწყისი პროფესიული განვითარება – ტექნიკური კომპეტენტურობა* (2015) და გსს 3 – „*საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული უნარები* (2015)“ (2015) ადგენს კომპეტენტურობის სფეროებსა და სწავლის შედეგებს, რომლებიც შეესაბამება ამ სტანდარტების მოქმედების სფეროს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში. წინამდებარე და ზემოაღნიშნული სტანდარტები ერთად ადგენს კომპეტენტურობის სფეროებსა და სწავლის შედეგებს, რომელიც გვიჩვენებს პროფესიული კომპეტენტურობის დონეს, რომლის დაუფლებაც მოეთხოვებათ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ბოლოს.
6. წინამდებარე სტანდარტში და *პროფესიონალი ბუღალტრებისა და პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების განათლების საერთაშორისო სტანდარტების სტრუქტურულ საფუძვლებში* (2015) გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტებები მოცემულია ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებულ *ტერმინების გლოსარში* (2015).

ძალაში შესვლის თარიღი

7. წინამდებარე სტანდარტი ძალაში შედის 2015 წლის 1 ივლისიდან.

მიზანი (იხ. პუნქტი ა12)

8. წინამდებარე გსს-ის მიზანია პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმების დადგენა, რომლის დაუფლება და დემონსტრირება მოეთხოვებათ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ბოლოს, რათა მათ შეასრულონ თავიანთი როლი, როგორც პროფესიონალმა ბუღალტრებმა.

მოთხოვნები

პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის საფუძვლები (იხ. პუნქტები ა13–ა15)

9. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების მეშვეობით პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატები უნდა უზრუნველყონ პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის გარკვეული საფუძვლებით/სისტემით, რათა მათ (ა) გამოიყენონ პროფესიული განსჯა და (ბ) იმოქმედონ ისეთი ეთიკური ნორმების შესაბამისად, რაც საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას მოემსახურება.

შესაფერისი ეთიკური ნორმები (იხ. პუნქტი ა16)

10. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებში უნდა გაითვალისწინონ შესაფერისი ეთიკური ნორმების სწავლება პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებისთვის.

სწავლის შედეგები პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევისთვის
(იხ. პუნქტები ა17–ა31)

11. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა დაადგინონ სწავლის შედეგები პროფესიული უნარებისთვის, რომელსაც უნდა მიაღწიონ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებმა საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ბოლოს. ზემოაღნიშნული სწავლის შედეგები უნდა მოიცავდეს „ა“ ცხრილში ჩამოთვლილს.

ცხრილი ა – სწავლის შედეგები პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევისთვის

კომპეტენტურობის სფერო (პროფესიული კვალიფიკაციის დონე)[1]	**სწავლის შედეგები**
ა) პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა (საშუალო)	1) კრიტიკული აზროვნების გამოყენება ფინანსური ინფორმაციისა და სხვა შესაბამისი მონაცემების შესაფასებლად. 2) გონივრული შესაძლო ვარიანტების დადგენა და შეფასება, კარგად დასაბუთებული დასკვნების გამოსატანად სათანადო ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.
ბ) ეთიკური პრინციპები	1) ეთიკის დედაარსის ახსნა. 2) წესებზე დაფუძნებული და პრინციპებზე დაფუძნებული ეთიკის

1. პროფესიული კვალიფიკაციის დონე კომპეტენტურობის ამა თუ იმ სფეროსთვის, რომელსაც კანდიდატი ფლობდეს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას (რაც აღწერილია 1-ელ დანართში).

	მიდგომების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების ახსნა. 3) ეთიკური პრობლემების გამოვლენა და იმის დადგენა, როდის უნდა იქნეს გამოყენებული ეთიკური პრინციპები. 4) მოქმედების სხვადასხვა კურსის გაანალიზება და მათი ეთიკური შედეგების განსაზღვრა. 5) ძირითადი ეთიკური პრინციპების: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის – გამოყენება ეთიკურ დილემასთან მიმართებით და დილემის გადაჭრის სათანადო მიდგომის განსაზღვრა. 6) პროფესიული ქცევისას შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების/ნორმების გამოყენება სტანდარტების შესაბამისად.[2]
გ) საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულება **(საშუალო)**	1) ეთიკის როლის ახსნა ბუღალტრის პროფესიისა და სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში. 2) ეთიკის როლის ახსნა ბიზნესისა და სათანადო კორპორაციულ მართვის კონტექსტში. 3) ეთიკისა და სამართლის ურთიერთკავშირის, მათ შორის, კანონებს, სხვა ნორმატიულ აქტებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის ურთიერთკავშირის გაანალიზება. 4) პიროვნებაზე, პროფესიასა და საზოგადოებაზე არაეთიკური ქცევის გავლენის/შედეგების გაანალიზება.

პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების მიმოხილვა
(იხ. პუნქტები ა32–ა33)

12. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა რეგულარულად უნდა განიხილონ და განაახლონ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამები, რომლებიც განკუთვნილია წინამდებარე გსს-ით დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად.

რეფლექსია (იხ. პუნქტები ა34–ა38)

13. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების სწავლებისა და განვითარების პროცედურები პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის სფეროში, რომელიც გაითვალისწინებს მათ რეფლექსურ საქმიანობას, რომელიც იქნება ფორმალიზებული და დოკუმენტირებული.

პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის შეფასება (იხ. პუნქტები ა39–ა42)

14. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა დაადგინონ სათანადო შეფასების პროცედურები, რომლის მიხედვითაც შეაფასებენ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების მიღწევებს პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის სფეროში

ახსნა-განმარტებითი მასალა

2. აღნიშნული სტანდარტები მოიცავს აუდიტის სტანდარტებს, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებსა და სხვა სტანდარტებს, რომლებიც დაკავშირებულია იმ სამუშაოსთან, რომელიც პროფესიონალმა ბურალტერმა უნდა შეასრულოს.

ბსფ-ის ოფიციალურ დოკუმენტებში მოცემული ტერმინების განმარტებების ციტირება

ა1. წინამდებარე გსს-ში გამოიყენება ზოგიერთი ტერმინი, რომლის განმარტება მოცემულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს *ტერმინების გლოსარში*[3] და გამოიყენება აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტებში. „ბ" ცხრილში ჩამოთვლილია ეს ტერმინები და მათი ამჟამად მოქმედი განმარტებები, რომლებიც შეტანილია ზემოაღნიშნულ *ტერმინების გლოსარში.*

ცხრილი ბ – აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული ტერმინების განმარტებები, რომლებიც გამოიყენება გსს 4-ში

ტერმინი	**განმარტება**
პროფესიული სკეპტიციზმი	პოზიცია, რომელიც გულისხმობს კრიტიკულ აზროვნებასა და სიფ-რთხილის გამოჩენას ისეთ პირობებთან მიმართებით, რომლებიც შეიძლება მიანიშნებდეს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ შესაძლო უზუსტობაზე, ასევე მტკიცებულებების კრიტიკულ შეფასებას.
პროფესიული განსჯა	შესაბამისი პრაქტიკული მომზადების, ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვისა და ეთიკის სტანდარტების კონტექსტში, აუდიტორის მიერ აუდიტზე გარიგებასთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებების შე-საფერისი სამოქმედო კურსის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისას.

ა2. უდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ოფიციალური დოკუმენტები არეგულირებს აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს, რომლებიც ტარდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მაშასადამე, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტებში გამოყენებული ტერმინები „პროფესიული სკეპტიციზმი" და „პროფესიული განსჯა" მხოლოდ აუდიტის, მიმოხილვისა და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებში გამოსაყენებლად არის განკუთვნილი. თუმცა, წინამდებარე გსს-ში იგულისხმება, რომ ეს ტერმინები უფრო ფართო კონტექსტში, კერძოდ, პროფესიონალი ბუღალტრის როლთან მიმართებაში გამოიყენება.

სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. 1-6 პუნქტები)

ა3. პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატი არის ფიზიკური პირი, რომელიც ჩართულია პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის მეშვეობით. საწყისი პროფესიული განვითარება არის სწავლისა და განვითარების

3. *ტერმინების გლოსარი, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მაარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარი, 2014 წლის გამოცემა, ტომი I.*

პროცესი, რომლის მეშვეობით პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატები, უპირველეს ყოვლისა, ეუფლებიან კომპეტენტურობის იმ დონეს, რაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესასრულებლად. საწყისი პროფესიული განვითარება მოიცავს ზოგად განათლებას, ბუღალტრის პროფესიულ განათლებას, პრაქტიკულ გამოცდილებასა და შეფასებას. საწყისი პროფესიული განვითარება იქამდე გრძელდება, სანამ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატი არ შეძლებს პროფესიული კომპეტენტურობის სათანადო დონის დემონსტირერებას, რაც აუცილებელია ბუღალტრის პროფესიაში მის მიერ არჩეული როლის შესასრულებლად.

ა4. ტერმინი „პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა“ აღნიშნავს პროფესიულ ქცევასა და ისეთ მახასიათებლებს, რომლის მეშვეობით პროფესიონალი ბუღალტერი იდენტიფიცირდება, როგორც პროფესიის წევრი/წარმომადგენელი. ეს მოიცავს ეთიკურ პრინციპებს, რომლებიც, როგორც წესი, დაკავშირებულია პროფესიული ქცევის განმასხვავებელ ნიშნებთან და აუცილებლად მიიჩნევა ამ ნიშნების დასადგენად.

ა5. პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა მოიცავს: (ა) ტექნიკური კომპეტენციისა და პროფესიული უნარების (ბ) ეთიკური ქცევის (მაგალითად, დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, კონფიდენციალობა და პატიოსნება), (გ) პროფესიული მანერების (მაგალითად, სათანადო გულისხმიერება, დროულობა, თავაზიანობა, სხვების პატივისცემა, პასუხისმგებლობის გრძნობა და საიმედოობა), (დ) სრულყოფილებისკენ სწრაფვის (მაგ., მუდმივი ზრდა-განვითარებისა და სამიდღეშიო სწავლის ვალდებულება) და (ე) სოციალურ პასუხისმგებლობის (მაგ., საზოგადოებრივი ინტერესების გაცნობიერება და გათვალისწინება) ვალდებულებებს.

ა6. შესაფერის ეთიკურ ნორმებად მიიჩნევა ის ეთიკური ნორმები (მოთხოვნები), რომლებსაც ემორჩილება პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტები საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს[4] და ნებისმიერ ეროვნულ ნორმებს, რომლებიც ამ კოდექსის მოთხოვნებზე უფრო მკაცრია (შემზღუდავია).

ა7. პროფესიული კომპეტენტურობის ტერმინის დახასიათება და კლასიფიცირება შესაძლებელია მრავალნაირად. განათლების საერთაშორისო სტანდარტებში პროფესიული კომპეტენტურობა აღნიშნავს გარკვეული სტანდარტებით განსაზღვრული როლის შესრულების უნარს. პროფესიული კომპეტენტურობა, თავისი არსით, უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ პრინციპების, სტანდარტების, კონცეფციების, ფაქტებისა და პროცედურების ცოდნა. პროფესიული კომპეტენტურობა არის (ა) ტექნიკური კომპეტენტურობის, (ბ) პროფესიული უნარებისა და (გ) პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის წესების/ნორმების ერთობლიობა და მათი ერთობლივად გამოყენება.

ა8. საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვნად განსხვავდება სამართლებრივი და მარგულირებელი გარემო, რომელიც განსაზღვრავს პროფესიონალი ბუღალტრებისთვის კვალიფიკაციის მინიჭების (ან მათი ლიცენზირების) მომენტს. ბსფ-ის თითოეულ წევრ ორგანიზაციას თავისი წევრებისთვის შეუძლია დაადგინოს სათანადო კავშირი საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებასა და კვალიფიკაციის (ან ლიცენზიის გაცემის) მინიჭების მომენტს შორის.

ა9. საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამაში პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მოთხოვნის ჩართვა ქმნის პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესრულებისთვის აუცილებელ ფუნდამენტს. პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის შემდგომი განვითარება უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის ცენტრალური ნაწილია, რომელსაც არეგულირებს გსს 7 – „*უწყვეტი პროფესიული განვითარება*“ (2014 წ.).

ა10. კომპეტენტურობის სფერო არის ცოდნის ესა თუ ის კატეგორია, რომლისთვისაც შესაძლებელია სწავლის გარკვეული შედეგების განსაზღვრა. პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევისთვის კომპტენეტურობის სფეროები მოიცავს ეთიკის პრინციპებს, ასევე პროფესიულ სკეპტიციზმსა და პროფესიულ განსჯას. ტექნიკური კომპტენტურობისთვის კომპეტენტურობის სფეროებია ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, საგადასახადო დაბეგვრა და ეკონომიკური თეორია; ხოლო პროფესიული უნარებისთვის კომპეტენტურობის სფეროებია ინტელექტუალური და ორგანიზაციული უნარები.

---

4. *ტერმინების გლოსარი, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარი, 2014 წლის გამოცემა, ტომი I.*

ა11. სწავლის შედეგები ადგენს ცოდნის შინაარსსა და სიღრმეს და პროფესიონალ ბუღალტერს მოეთხოვება კომპეტენტურობის თითოეული კონკრეტული სფეროს ცოდნა და გამოყენება. სწავლის შედეგების დემონსტრირება შესაძლებელია სამუშაო გარემოში, ან პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამის მეშვეობით.

მიზანი (იხ. მე-8 პუნქტი)

ა12. პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმების დადგენა, რომლის დაუფლება და დემონსტრირება მოეთხოვებათ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატს, რამდენიმე მიზანს ემსახურება. კერძოდ, იცავს საზოგადოების ინტერესებს, ამაღლებს პროფესიონალი ბუღალტრების მუშაობის ხარისხს და ხელს უწყობს ბუღალტრის პროფესიის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას.

პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის საფუძვლები (იხ. მე-9 პუნქტი)

ა13. პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის საფუძვლები შეიძლება განსაზღვრული იყოს შესაფერისი ეთიკური ნორმებით, როგორიცაა, მაგალითად, კონცეპტუალური მიდგომა, რომელსაც ადგენს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტები საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრე-ბის ეთიკის კოდექსი.[5]

ა14. შესაფერისი ეთიკური ნორმების მიხედვით პროფესიონალი ბუღალტრები თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას, რომ იმოქმედებენ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ. მაშასადამე, პროფესიონალი ბუღალტრების ქმედებები გამიზნული არ არის მხოლოდ ცალკეული დამკვეთისა და დამქირავებელი ორგანიზაციის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ა15. ბსფ-ის წევრი ორგანიზაციები, განსაზღვრავენ რა პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმების სწავლებისა და განვითარებისთვის აუცილებელ პროცედურებს, ხელს უწყობენ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებში პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვას – იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ. საზოგადოებრივი ინტერესებს სასარგებლოდ მოქმედება თავის თავში მოიცავს: (ა) საზოგადოებრივი ინტერესების გაცნობიერებას და ზრუნვას საზოგადოებრივის ინტერესების დაცვაზე; (ბ) სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის გაცნობიერებასა და გათვალისწინებას; (გ) სწავლას მთელი ცხოვრების მანძილზე; (დ) ხარისხზე, საიმედოობაზე, პასუხისმგებლობაზე, დროულობასა და თავაზიანობაზე ზრუნვას და (ე) კანონმორჩილებას. ამგვარი მიდგომა განამტკიცებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პროფესიონალი ბუღალტრები ხელს უწყობენ ბაზრებისა და მთლიანად ეკონომიკის მიმართ რწმენისა და ნდობის ჩამოყალიბებას.

შესაფერისი ეთიკური ნორმები (იხ. მე-10 პუნქტი)

ა16. პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმების სწავლება თავდაპირველად შესაძლებელია ცალკე საგნად. თუმცა, პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების სწავლების შემდგომ ეტაპებზე პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმების გაერთიანება სხვა საგნებში, ხელს უწყობს უფრო ფართო ეთიკური შედეგების გაცნობიერებასა და გააზრებას.

სწავლის შედეგები პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევისთვის (იხ. მე-11 პუნქტი)

სწავლის შედეგების განსაზღვრა

ა17. „ა“ ცხრილში განხილულია სწავლის შედეგები პროფესიული ფასეულოებების, ეთიკისა და ქცევისთვის, რომელსაც უნდა დაეუფლოს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატი საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას, იმის მიუხედავად, მომავალში რომელ სფეროში აქვს გამიზნული სპეციალიზაცია პროფესიაში, ან რა როლის შესრულებას ისახავს

[5]. შესავალი და ძირითადი პრინციპები, *ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო*, 2015 წლის გამოცემა.

მიზნად. ზემოაღნიშნული სწავლის შედეგები ქმნის ფუნდამენტს, რომელიც პროფესიონალ ბუღალტრებს შემდგომი სპეციალიზაციის საშუალებას აძლევს სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა, მაგალითად, აუდიტის გარიგების პარტნიორი ან საგადასახადო დაბეგვრის საკითხების სპეციალისტი.

ა18. პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებში გათვალისწინებული კომპეტენტურობის 3 სფერო, რომლებიც „ა" ცხრილშია ჩამოთვლილი, შეიძლება არ დაემთხვეს დადგენილი კურსების ან საგნების სახელწოდებებს. გარდა ამისა, კომპეტენტურობის რომელიმე ერთ სფეროსთან დაკავშირებული სწავლის შედეგების მისაღწევად (როგორიცაა, მაგალითად ეთიკური პრინციპები) შეიძლება საკმარისი არ იყოს ერთი კურსი, ან ამ სფეროზე მიკუთვნებული ერთი საგნის შესწავლა. კომპეტენტურობის ზოგიერთ სფეროსთან დაკავშირებული სწავლის შედეგების მიღწევა (მაგალითად, რომლებსაც მოიცავს პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა) შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებული კურსის ან ისეთი საგნების შესწავლით, რომელთაგან არც ერთი არ მიეკუთვნება მარტო კომპეტენეტურობის ამ სფეროს. გარდა ამისა, პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამის მიხედვით კომპეტენტურობის სფეროების სწავლების თანამიმდევრობა შეიძლება არ დაემთხვას „ა" ცხრილში მოცემულ თანამიმდევრობას (მაგალითად, „ა" ცხრილში საზოგადოებრივის ინტერესების დაცვის ვალდებულება მოცემულია კომპეტენტურობის სფეროების ჩამონათვალის ბოლოს, მაგრამ მისი ჩართვა პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში შესაძლებელია საკმაოდ ადრეულ ეტაპზე.

19. პროფესიული კვალიფიკაციის დონეების განსაზღვრა და კლასიფიცირება შესაძლებელია სხვადასხვა გზით. 1-ელ დანართში – „*პროფესიული კვალიფიკაციის დონეების დახასიათება*" მოცემულია ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ვერსია.

ა20. „ა" ცხრილში კომპეტენტურობის თითოეულ სფეროს მიკუთვნებული აქვს პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი დონე, რომლის მიღწევაც მოეთხოვებათ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ბოლოს. პროფესიული კვალიფიკაციის თითოეული დონე გვიჩვენებს იმ კონტექსტს, რომლის გათვალისწინებითაც კანდიდატს მოეთხოვება სწავლის სათანადო შედეგების დემონსტრირება. კონკრეტულ კომპეტენტურობის სფეროსთან დაკავშირებული სწავლის შედეგების აღწერა და მითითებული პროფესიული კვალიფიკაციის დონე ერთად შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს დაეხმარება პროფესიონალი ბუღალტრების განათლების საკუთარი პროგრამების ფორმირებაში.

ა21. პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებში ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია: (ა) კომპეტენტურობის დამატებითი სფეროები ჩართვა; (ბ) კომპეტენტურობის ზოგიერთი სფეროსთვის პროფესიული კვალიფიკაციის დონის გაზრდა; ან (გ) დამატებითი სწავლის შედეგების შემუშავება, რომლებიც განსაზღვრული არ არის წინამდებარე გსს-ში. ამის გაკეთება შეიძლება იმ შემთხვევაში გახდეს საჭირო, თუ ბსფ-ის წევრი ორგანიზაცია პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს ამზადებს რომელიმე კონკრეტულ დარგში მუშაობისთვის (მაგალითად, სახელმწიფო სექტორი), ან რომელიმე კონკრეტული როლისთვის (მაგალითად, მმართველობითი აღრიცხვის ბუღალტერი ან აუდიტორი).

სწავლებისა და განვითარების მეთოდების შერჩევა

ა22. ბსფ-ის წევრი ორგანიზაციები, პედაგოგები და სხვა დაინტერესებული მხარეები მოწოდებულნი უნდა იყვნენ იმისთვის, რომ განსაზღვრონ პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმების სწავლებისთვის ყველაზე მიზანშეწონილი მიდგომა, ეროვნული და კულტურული გარემოს თავისებურებების გათვალისწინებით.

ა23. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მიზანშეწონილი მიდგომის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინონ, რომ სწავლებისა და განვითარების მეთოდები შეიძლება ერთობლივად ითვალისწინებდეს სტუქტურირებულ სასწავლო პროგრამებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას. კანდიდატების სწავლებისა და განვითარების მეთოდების ამგვარი კომბინაცია იმისთვისაა გამიზნული, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს მიეცეთ სათანადო შესაძლებლობა იმისთვის, რომ მათ სამუშაო ადგილზე გამოსცადონ პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმების გამოყენება.

ა24. სწავლებისა და განვითარების ღონისძიებებში ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს, პედაგოგებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთისგან გამიჯნონ (ა) პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებისთვის პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის საკითხების სწავლება და (ბ) ეთიკური ქცევისთვის სათანადო გარემოს შექმნა. პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმების ათვისება შესაძლებელია საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის მეშვეობით და შემდეგ ეს პროცესი გაგრძელდება მთელი კარიერის მანძილზე, რადგან პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა უწყვეტი პროფესიული განვითარებისა პროგრამისა და სამიდღეშიო სწავლების აუცილებელი ნაწილია.

ა25. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს, პედაგოგებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს სწავლის პროცესში შეუძლიათ კანდიდატების თანამონაწილეობის მიდგომის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის საკითხების ათვისებასა და განვითარებას. ზემოაღნიშნული მიდგომა, სხვასთან ერთად, შეიძლება მოიცავდეს:

ა) როლების გათამაშებას (საქმიან თამაშებს);

ბ) შერჩეული ტექსტებისა და ვიდეომასალის განხილვას;

გ) ბიზნესის რეალური სიტუაციების გაანალიზებას, რომლებიც მოიცავს ეთიკურ დილემებს;

დ) დისციპლინარული ღონისძიებებისა და გამოვლენილი ფაქტების განხილვას;

ე) სემინარებს, რომლებსაც ჩაატარებენ კორპორაციული ან პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებაში გამოცდილების მქონე ლექტორები; და

ვ) საკითხების განსახილველად ონლაინ ფორუმებისა და საჯარო განხილვისთვის (შეტყობინებების გაგზავნის მეშვეობით) განკუთვნილი ვებგვერდების გამოყენებას.

ა26. პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების აქტიურ მონაწილეობაზე ორიენტირებული მეთოდები მათ დაეხმარება, უფრო ღრმად გაიაზრონ რთული მმართველობითი (ადმინისტრა-ციული) გადაწყვეტილებების მიღების შედეგად წარმოქმნილი ეთიკური შედეგებისა და პოტენციური კონფლიქტების მნიშვნელობა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის.

პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა

ა27. პროფესიული განათლება პროფესიული სკეპტიციზმისა და პროფესიული განსჯის სფეროში ყოველთვის ადვილად არ მიიღწევა. ამ სფეროში სწავლების გეგმაზომიერი და ქმედითი მეთოდები სათანადო სიფრთხილით უნდა შეირჩეს და შეიძლება მოიცავდეს ისეთ მეთოდებს, სადაც მთავარ როლს თამაშობს მენტორობა (დამრიგებლობა), რეფლექსური საქმიანობა (რეფლექსია) დრო და გამოცდილება.

ეთიკური პრინციპები და პრობლემები

ა28. პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა ეხება პროფესიონალი ბუღალტრების მიერ შესრულებულ ყველანაირ პროფესიულ სამუშაოს. თუ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებმა (ა) იციან და ესმით ეთიკური ცნებები, თეორიული კონცეფციები და პროფესიული ეთიკის ძირითადი პრინციპები და (ბ) აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ არასამუშაო გარემოში ივარჯიშონ მათ პრაქტიკულ გამოყენებაში, ეს დაეხმარება მათ ეთიკური პრობლემების უკეთ შეცნობასა და გადაჭრაში.

ა29. პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებისთვის ეთიკური პრინციპებისა და ეთიკური პრობლემების საკითხების სწავლება შეიძლება მოიცავდეს: (ა) კონკრეტულ ეთიკურ საკითხებს, რომელთანაც შეხება პრაქტიკაში ყველა პროფესიონალ ბუღალტერს შეიძლება მოუწიოს; (ბ) ისეთ ეთიკურ პრობლემებს, რომელსაც პროფესიონალი ბუღალტერი ცალკეულ თანამდებობაზე მუშაობისას შეიძლება წააწყდეს და (გ) ძირითად მოსაზრებებს, რომლებიც გასათვალისწინებელია ამგვარ ეთიკურ პრობლემებზე რეაგირებისთვის შესაბამისი ზომების განსაზღვრისას.

ა30. მნიშვნელოვანია ეთიკურ პრინციპებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება. ამ მიზნით შესაძლებელია პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების წახალისება და იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ (ა) აშკარა ეთიკური შედეგები და კონფლიქტები გამოავლინონ თავიანთ სამუშაო ადგილზე ან სამუშაო გარემოში; (ბ) თვითონ ჩამოაყალიბონ წინასწარი შეფასებები ასეთი შემთხვევების შესახებ და (გ) შემდეგ განიხილონ პრაქტიკის (პრაქტიკული გამოცდილების) ხელმძღვანელთან (კურატორთან).

ა31. შესაძლებელია, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს პრაქტიკული გამოცდილების პერიოდშიც მოუწიოთ შეხება ეთიკურ პრობლემებთან და პოტენციურ დილემებთან. პრაქტიკული გამოცდილების პროგრამების დამუშავებასა და პრაქტიკაში მათ განხორციელებაზე ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ ურჩიონ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს, რომ აუცილებელია კონსულტაციების გავლა თავიანთ სამუშაო გარემოში თანამშრომლებთან, უფროსებთან და პრაქტიკული გამოცდილების კურატორებრთან, ან ბსფ-ის წევრ ორგანიზაციასთან ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ეჭვი გაუჩნდებათ სამუშაო პროცესში ან რაიმე სიტუაციაში ეთიკურ ასპექტებთან დაკავშირებით.

პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების მიმოხილვა (იხ. მე-12 პუნქტი)

ა32. პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამები იმისთვისაა განკუთვნილი, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს დაეხმაროს სათანადო პროფესიული კომპეტენტურობის დაუფლებაში საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას. ამგვარი პროგრამები შეიძლება მოიცავდეს ფორმალურ განათლებას, რომლის მიღება შესაძლებელია უნივერსიტეტების, სხვა უმაღლესი სასწავლებლების, ბსფ-ის წევრი ორგანიზაციებისა და დამქირავებელი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული კვალიფიკაციებისა (ხარისხების) და კურსების მეშვეობით, ასევე სამუშაო ადგილებზე სწავლებით. ამგვარად, შესაძლებელია, რომ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების მოდელის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ბსფ-ის წევრი ორგანიზაციების გარდა სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა.

ა33. პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების რეგულარულად მიმოხილვისა და განახლების მოთხოვნა ასახავს სწრაფად ცვალებად და რთულ გარემოს, რომელშიც უწევთ საქმიანობა პროფესიონალ ბუღალტრებს. მიმოხილვის ტიპური ციკლი შეიძლება მოიცავდეს სამიდან ხუთ წლამდე პერიოდს, მაგრამ შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს უფრო ხშირი მიმოხილვაც, მაგალითად, კანონმდებლობაში და პროფესიონალი ბუღალტრებისთვის განკუთვნილ სტანდარტებში შესული ცვლილებების გასათვალისწინებლად.

რეფლექსური საქმიანობა (რეფლექსია) (იხ. მე-13 პუნქტი)

ა34. რეფლექსური საქმიანობა (რეფლექსია) *არის მრავალჯერადი პროცესი, რომლის მეშვეობით პროფესიონალი ბუღალტერი, თავისი კარიერის ყველა ეტაპზე აგრძელებს პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებას საკუთარი გამოცდილების (რეალური ან იმიტაციური) შესწავლის გზით, რომლის მიზანია საკუთარი ქმედებების გაუმჯობესება მომავალში.*

ა35. რეფლექსიის მეთოდის დროს ყველაზე მეტი რეალისტური გამოცდილების მიღება შესაძლებელია სამუშაო ადგილზე. როდესაც ამის გაკეთება შეუძლებელია ან მიზანშეწონილი არ არის, ამგვარი გამოცდილების მიღების შესაფერისი ალტერნატივა შეიძლება იყოს აგრეთვე „რეალური ცხოვრებისეული“ გამოცდილების იმიტაცია, ან შესაფერისი საყოველთაოდ ცნობილი შემთხვევების განხილვა.

ა36. რეფლექსური საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია შეიძლება მოიცავდეს:

ა) სწავლების ჩანაწერების წარმოებას;

ბ) რეფლექსური სიტუაციების ჩანაწერების წარმოებას;

გ) პირადი განვითარების პორტფოლიოს წარმოებას; ან
დ) მნიშვნელოვანი შემთხვევების დღიურების წარმოებას.

ა37. პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებისა და პროფესიონალი ბუღალტრებისთვის სახელმძღვანელო მითითებების დამუშავებისას რეფლექსიასთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტაციის ხასიათის, ფორმატისა და შინაარსის და ასევე ისეთი ეთიკური სიტუაციების ტიპების შესახებ, რომლებიც დოკუმენტებში უნდა აისახოს, ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორიცაა კონფიდენციალობა, სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნები. მაგალითად, ზოგიერთი ეთიკური სიტუაცია შეიძლება სენსიტიური იყოს და ექვემდებარებოდეს სამართლებრივ ან დისციპლინარულ ქმედებებს. მაშასადამე, მიზანშეწონილი არ იქნება, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებმა ისინი დოკუმენტებში ასახოს და განიხილოს.

ა38. გარდა ამისა, ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება შეუძლიათ ასევე იმის შესახებ, როგორ უნდა მოხდეს პრაქტიკაში რეფლექსური საქმიანობის დასაბუთება პრაქტიკული გამოცდილების კურატორებისთვის.

ა39. გსს 6 – „*საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული კომპეტენტურობის შეფასება* (2015)“ – ადგენს პრინციპებს, რომლის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის და პროფესიული კომპეტენტურობის სხვა ელემენტების ცოდნის მიღწეული დონის შეფასების პროცედურები.

ა40. პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის სფეროში პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების ცოდნის მიღწეული დონის შესაფასებლად შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. შეფასების სათანადო პროცედურა შეიძლება ითვალისწინებდეს, მაგალითად: (ა) წერითი გამოცდების ჩატარებას, რომლებიც ეყრდნობა ისეთ შეკითხვებს, რომლებიც საჭიროებს მოკლე პასუხების გაცემას; (ბ) სასწავლო სიტუაციურ მაგალითებს, (გ) თხზულების/ნარკვევის დაწერას, (დ) საგნობრივ ტესტირებას, (ე) სამუშაო ადგილზე შეფასებასა და (ვ) წინა საკვალიფიკაციო სწავლის/განათლების დონის შეფასებას, რომლის მიხედვითაც კანდიდატი იღებს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ზოგიერთი ასპექტიდან განთავისუფლებას.

ა41. წერითი გამოცდის გარდა მრავალი სხვა საშუალება არსებობს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ოფიციალურ საგანმანათლებლო გარემოში შეფასება, მათ შორის;

ა) თემატური სასწავლო სიტუაციური მაგალითების მონაცემთა ბანკის შექმნა და პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებისთვის ამ მაგალითების საფუძველზე შედგენილ ტესტებზე პასუხის გაცემის მოთხოვნა;
ბ) კაზუსების განხილვის/ანალიზის სისტემის გამოყენება, რომელიც პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს ავალდებულებს კონკრეტული საყოველთაოდ ცნობილი შემთხვევების სარეგისტრაციო ჟურნალისა და მათ შესახებ შენიშვნების წარმოებას;
გ) საგნობრივი/თემატური ტესტირების გამოყენება პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებით გათვალისწინებული ეთიკური ასპექტების შესახებ; და
დ) თემატური სასწავლო სიტუაციური მაგალითების ჯგუფური განხილვისა და სემინარების გამოყენება ეთიკური საკითხების ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შესაფასებლად.

ა42. სამუშაო ადგილზე შეფასების პროცედურა განსხვავდება ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში გამოყენებული შეფასების პროცედურისგან და ბევრ ასპექტში უფრო რთულია. სამუშაო ადგილებზე პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის სფეროში პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების ცოდნის შესაფასებლად შეიძლება მაგალითად, შემდეგი მეთოდების გამოყენება:

ა) ეთიკური დილემის განხილვა და გადაჭრაში დახმარება სამუშაო ადგილზე მისი წარმოშობისთანავე; და

ბ) ეთიკური გადაწყვეტილებების განხილვა ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების მიმოხილვასა და შეფასებასთან ერთად.

1-ლი დანართი

პროფესიული კვალიფიკაციის დონეების დახასიათება

ცხრილში მოცემული პროფესიული კვალიფიკაციის დონეების აღწერა ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო საბჭოს ეხმარება სწავლის შედეგების გამოყენებაში თავის პუბლიკაციებში, როგორიცაა განათლების საერთაშორისო სტანდარტები გსს 2, გსს 3 და გსს 4. აქ აღწერილია პროფესიული კვალიფიკაციის სამი დონე. პროფესიული კვალიფიკაციის დონეებისა და სწავლის შედეგების აღწერა ერთობლიობაში შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს დაეხმარება ბუღალტერთა პროფესიული განათლების საკუთარი პროგრამების დამუშავებაში პროფესიონალი ბუღალტრის სხვადასხვა როლისა და სპეციალიზაციისთვის.

პროფესიული კვალიფიკაციის დონე	**აღწერა**
საწყისი (საფუძვლები)	როგორც წესი, კომპეტენტურობის ნებისმიერი სფეროსთვის სწავლის შედეგები ორიენტირებულია შემდეგ საკითხებზე: • ტექნიკური კომპეტენტურობის შესაფერისი სფეროს ძირითადი პრინციპებისა და თეორიული საკითხების იდენტიფიკაცია, ახსნა, განზოგადება და ინტერპრეტაცია, რათა პროფესიონალმა ბუღალტერმა შეძლოს დაკისრებული ამოცანების შესრულება სათანადო პირთა ხელმძღვანელობით მუშაობის დროს. • დაკისრებული დავალებების შესრულება სათანადო პროფესიული უნარების გამოყენებით; • პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მნიშვნელობის გაცნობიერება დაკისრებული დავალებების შესრულებაში. • მარტივი პრობლემების გადაჭრა და რთული დავალებების ან პრობლემების შემთხვევაში თავისი უფროსისთვის ან სპეციალური ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პირთათვის მიმართვა; და • ინფორმაციის წარმოდგენა და საკითხების ნათლად და გასაგებად ახსნა, სიტყვიერად და წერილობით. საფუძვლების (საწყის) დონეზე სწავლის შედეგები დაკავშირებულია ისეთ სამუშაო სიტუაციებთან, რომლისთვისაც დაბალი დონის ორაზროვნება, სირთულე და განუსაზღვრელობაა დამახასიათებელი.
საშუალო	როგორც წესი, კომპეტენტურობის ნებისმიერი სფეროსთვის სწავლის შედეგები ორიენტირებულია შემდეგ საკითხებზე: • ტექნიკური კომპეტენტურობის შესაფერისი სფეროს ძირითადი პრინციპებისა და თეორიული საკითხების დამოუკიდებლად გამოყენება, შედარება და გაანალიზება დაკისრებული დავალებების შესასრულებლად და გადაწყვეტილებების მისაღებად; • ტექნიკური კომპტენტურობისა და პროფესიული უნარების

	ერთობლივად გამოყენება დავალებული სამუშაოს შესასრულებლად; • პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის გამოყენება დავალებული სამუშაოს შესასრულებლად; და • ინფორმაციის წარმოდგენა და საკითხების ნათლად და გასაგებად ახსნა, სიტყვიერად და წერილობით, ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. საშუალო დონეზე სწავლის შედეგები დაკავშირებულია ისეთ სამუშაო სიტუაციებთან, რომლისთვისაც საშუალო დონის ორაზროვნება, სირთულე და განუსაზღვრელობაა დამახასიათებელი.
უმაღლესი	როგორც წესი, კომპეტენტურობის ნებისმიერი სფეროსთვის სწავლის შედეგები ორიენტირებულია შემდეგ საკითხებზე: • ტექნიკური კომპეტენტურობის სხვადასხვა სფეროდან პრინციპებისა და თეორიული საკითხების შერჩევა და ერთობლივად გამოყენება, პროექტებისა და სამუშაო დავალებების მართვისა და ხელმძღვანელობის მიზნით და დაინტერესებული მხარის მოთხოვნილებების შესაბამისი რეკომენდაციების მოსამზადებლად. • ტექნიკური კომპეტენტურობისა და პროფესიული უნარების ერთობლივად გამოყენება პროექტებისა და სამუშაო დავალებების მართვისა და ხელმძღვანელობის მიზნით. • მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება მოქმედების სათანადო კურსის განსაზღვრაზე, პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და ქცევის ნორმების გათვალისწინებით; • რთული პრობლემების შეფასება, გამოკვლევა და გადაჭრა მცირე ზედამხედველობის/დახმარების პირობებში; და • რთული პრობლემებისა და საკითხების წინასწარ განჭვრეტა, სათანადო კონსულტაციების მიღება და გადაჭრის გზების დასახვა; და • შესაბამისი ინფორმაციის თანამიმდევრულად წარდგენა და დამაჯერებლად ახსნა დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრეებისთვის. კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე სწავლის შედეგები დაკავშირებულია ისეთ სამუშაო სიტუაციებთან, რომლისთვისაც მაღალი დონის ორაზროვნება, სირთულე და განუსაზღვრელობაა დამახასიათებელი.